ხონის მუნიციპალიტეტის მერის
2022 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ხონის მუნიციპალიტეტის მერის
2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი

მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მერია საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს, მოქმედი კანონმდებლობისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით სახელმწიფო ორგანოებთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, სულ მერიაში ფუნქციონირებდა 9 სტრუქტურული ერთეული.

2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობდა 79 საჯარო მოხელე. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართის მიზნით ფუნქციონირებდა 17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი - შპს.

2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი ორი კონკურსი.

მერიის მიერ გამოცხადებული ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით კონკურსის განთავსება ხორციელდებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ - გვერდის მეშვეობით.

საკონკურსო საატესტაციო კომისიამ მერს დასანიშნად წარუდგინა 7 კანდიდატი.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებთ მოსახლეობასთან, თითქმის ყოველდღე უზრუნველვყოფდით მოქალაქეებთან შეხვედრას. ასევე, არის შემოღებული მიღების დღეები, კერძოდ სამშაბათი და ხუთშაბათი 12 საათიდან-15 საათამდე.

2022 წლის განმავლობაში შემოსული იყო 8 185 წერილი და კორესპოდენცია. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყვეს მათზე რეაგირება, წერილების დაგზავნა, პასუხების მიწოდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მერიაში საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. 2022 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში

სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან შემოვიდა 30 განცხადება, პასუხი დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა. ასევე წარმატებით მუშაობდა facebook გვერდი.

2022 წელს მუშაობას განაგრძობდა მერიის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისაგან. წლის განმავლობაში ჩატარდა ორი სხდომა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროექტი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სფერო

2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტისა და შიდა კონტროლის სამსახური მუშაობას წარმართავდა დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესში. რისკების გამოვლენით ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემის დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2022 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო ოთხი აუდიტორული შემოწმების განხორციელება, შემოწმებული იქნა მხოლოდ სამი ობიექტი:

- ა(ა)იპ-ი ,,ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა''
- ა(ა)იპ-ი ,,ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლი''
- ა(ა)იპ-ი ,,საქველმოქმედო ასოციაცია ,,სათნოების სახლი''
- ა(ა)იპ-ი ,,ხონის მუნიციპალიტეტის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური''
- ა(ა)იპ-ი ,,ხონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება''

ზემოთ აღნიშნული ობიექტებიდან ოთხი ობიექტის შემოწმება დასრულებული იქნა 2022 წელს, ხოლო საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების შემოწმება, რომელიც დაიწყო 2022 წლის ოქტომბერში, დასრულებული იქნა 2023 წლის თებერვლის დასაწყისში.

აუდიტის პროცესში, გამოვლენილი ნაკლოვანებები განიხილებოდა ობიექტის ხელმძღვანელობასთან და შესაძლებლობის ფარგლებში აუდიტის პროცესშივე ხდებოდა მათი გამოსწორება, ხოლო ზოგიერთი დარღვევის გამოსწორების შესახებ აუდიტის ობიექტი აუდიტორული ანგარიშის გაცნობის შემდეგ აუდიტის სამსახურს წარუდგენდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმა-გრაფიკს, სადაც მიუთითებდნენ ნაკლოვანებების გამოსწორების გონივრულ ვადებს. გეგმა-გრაფიკში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ ხორციელდებოდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის N25 დადგენილებით დამტკიცდა ხონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობა განისაზღვრა 9382,2 ათასი ლარის ოდენობით. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 180,0 ათასი ლარი, გადასახადები 7379,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 1303,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 520,0 ათასი ლარი, გადასახდელები 6756,0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, შემოსულობები

განისაზღვრა 16211,8 ათასი ლარი. გადასახადები 8 235,0 ათასი ლარი, გრანტები 7 071,8 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 385,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი 520,0 ათასი ლარი.

2022 წელს ფაქტიური შემოსულობებმა შეადგინა 15 944,4 ათასი ლარი. გეგმის 98,35%. გადასახადებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 9117,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 101,36 %-ა, გრანტებიდან მიღებული შემოსავალმა 7071,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,79 %-ა, სხვა შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 532,382 ათასი ლარი, რაც გეგმის 138,28%-ა, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 54,728 ათასი ლარი რაც გეგმის 10,52 %-ა.

გადასახდელები

2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 19 893,3 ათას ლარს.

- **ხარჯები 9896,6 ათასი ლარი მათ შორის:**
- ✓ შრომის ანაზღაურება 2710,0 ათასი ლარი,
- ✓ საქონელი და მომსახურება 2073,2 ათასი ლარი,
- ✓ პროცენტი 28,6 ათასი ლარი,
- ✓ სუბსიდიები 4403.2 ათასი ლარი,
- ✓ გრანტები 11,0 ათასი ლარი,
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 930.2 ათასი ლარი,
- ✓ სხვა ხარჯები 180.6 ათასი ლარი.
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა 9944.0 ათასი ლარი,
- ❖ ვალდებულების კლება 51,4 ათასი ლარი.

2022 წელს გაწეულმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 17954.7 ათასი ლარი:

- **ხარჯები 9534.4 ათასი ლარი , გეგმის 96,0% :**
- ✓ შრომის ანაზღაურება 2186.8 ათასი ლარი, გეგმის 96.0 %
- ✓ საქონელი და მომსახურება 1927.6 ათასი ლარი, გეგმის 93.0%
- ✓ სუბსიდიები 4378.0 ათასი ლარი, გეგმის 99.0 %
- ✓ პროცენტი 25.4 ათასი ლარი, გეგმა 89,0%
- ✓ გრანტები 11.0, ათასი ლარი, გეგმის 100,0%
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 829.03 ათასი ლარი, გეგმის 89,0 %
- ✓ სხვა ხარჯები180.6 ათასი ლარი. გეგმის 98.0 %
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა 8368.96 ათასი ლარი, გეგმის 84,0 %
- ❖ ვალდებულების კლება 51.34 ათასი ლარი. 100%

სახელმწიფო შესყიდვები

ინფორმაცია 2022 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ:

- 2022 წელს სულ გამოცხადდა 75 ელექტრონული ტენდერი.
- შედგა - 53 ელექტრონული ტენდერი, აქედან:
- 35 - ელ. ტენდერი სახელმწიფო ბიუჯეტით: 13 - რგფ; 4 - სტიქია; 11 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; 3 – სკოლები; 4 - გრანტი;
- 18 - ელ. ტენდერი ადგილობრივი ბიუჯეტით.
- არ შედგა - 13 ელ. ტენდერი - ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა სავარაუდო ღირებულება.
- უარყოფითი შედეგით დასრულდა - 7 ელ. ტენდერი, ტენდერებში პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს ან ნაწილობრივ დააზუსტეს სატენდერო დოკუმენტაცები, რის გამოც მიენიჭათ დისკვალიფიკაცია და აღნიშნული ტენდერები უარყოფითი შედეგით დამავრდა.
- NAT220002467 - მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება ძეძილეთის ტერიტორიული ერთეულის სოფლებიდან ხონის მუნიციპალიტეტის ცენტრამდე (ქ.ხონი), მარშრუტით: ს.ძეძილეთი-ს.ნოღა-ქ.ხონი და უკან, ყოველი კვირის ოთხშაბათს.
- NAT220006836 - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ეკონომიურად განსაკუთრებით შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი 418 ოჯახისთვის სადღესასწაულო ნობათის მოწოდების უზრუნველყოფა.
- NAT220016184 - ქ. ხონში, ნუცუბიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.
- NAT220016681 - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ოთახების რეაბილიტაცია.
- NAT220018431 - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ოთახების რეაბილიტაცია.
- NAT220023133 - ქ. ხონში, ჭანტურიას ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის, სოფელ გორდის, კინჩხის, ძეძილეთის, მათხოჯისა და ნახახულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის, კუხის ადმინისტრაცულ ერთეულში, მდინარე კუხაზე გაბიონის რეაბილიტაციისა და გუბის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე-სამელიორაციო არხზე გაბიონის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.
- NAT220028966 - ქალაქის ბულვარის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობა.
- შეწყდა - 1 ელ. ტენდერი.
- 5 ელ. ტენდერის სამუშაოები გადმოვიდა 2023 წელს
- NAT220013802 - გორდის ადმინისტრაციული ერთეულის ვიზიტორთა სახლიდან გამშვებ პუნქტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, იყო მრავალწლიანი.
- NAT220014605 - ხონის მუნიციპალიტეტის, სოფ. მათხოჯში ვარლამ ძიძიგურის სახელობის საჯარო სკოლის ეზოში ღია სპორტული მოედანის მოწყობა, ვადაგადაცილება.
- NAT220015926 - ქ. ხონში, რუსთაველის ქუჩის I და II შესახვევის რეაბილიტაცია, ირ. აბაშიძის ქუჩის მოასფალტების გაგრძელება, ტაბიძის ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტების სამუშაოები, დროებით შეცერებული იყო ვინაიდან კეთდებოდა მისი მომიჯნავე უბანი.
- NAT220018738 - ქ.ხონში, ნუცუბიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დროებით შეცერებული იყო ვინაიდან კეთდებოდა მისი მომიჯნავე უბანი.
- NAT220022119 - ხონის მუნიციპალიტეტში სოფელ დედალაურში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების (გველესიანების უბანში საფეხმავლო ხიდი, ყოფილ

სასროლეთთან ბონდის ხიდი და ე. წ. მეორე ზონაში ლითონის საფეხმავლო ხიდი) სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ვადაგადაცილება.

- NAT220022122 - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალბედისეულში (თხილარას უბანში) სახიდე გადასასვლელის, სოფელ საწულუკიძეოში ახალსოფლის უბანში სახიდე გადასასვლელისა და გორდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ლუხმელაზე არსებულ 2 ხიდის საყრდენი ბურჯების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვადაგადაცილება.

- გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო 179 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;

- მონეტარული ზღვრის დაცვით - 90
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 7
- ექსკლუზივი - 1
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 54
- ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 5
- დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით - 12
- გადაუდებელი აუცილებლობა - 10

- კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა - 29 ხელშეკრულება.

დაჯარიმებული იქნა 17 მიმწოდებელი და გადახდილია პირგასამტეხლო 120 776.48 ლარის ოდენობით:

სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 2022 წელს განისაზღვრა 168,0 ათასი ლარით. საკასო ხარჯი 161.8 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 4 ოჯახი ჯამში 8000 ლარით, რომლებსაც სტიქიური უბედურების (ხანძარი) შედეგად დაუზიანდა ან/და გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი, ან სათავსო ნაგებობები. სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 290-ზე მეტ მოქალაქეს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ნაწილობრივ ან სრულად ჯამური თანხით 121,2 ათასი ლარით. უპატრონო მიცვალებულების ან სოციალურად გაჭირვებული ოჯახებში გარდაცვლილი ოჯახის წევრის სარიტუალო ხარჯების დასაფიანსებლად 4890 ლარი (19 მომართვა). უსახკარო ადამიანების დროებით საცხოვრებელ ბინაში განთავსებისთვის 3670 ლარი (ოთხი ოჯახი).

რუსეთ-უკრაინის ომით, დევნილი ლტოლვილი უკრაინის მოქალაქეების საცხოვრებელი ბინის იჯარისა და კვების უზრუნველყოფის ხარჯი 24,0 ათასი ლარი.

2022 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა:

#	დასახელება	ათასი ლარი
	ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის-ცენტრი	**833,2**
	ააიპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური	**134,7**
	ააიპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	**1472,2**
	ააიპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი	**118.0**
	ააიპ ხონის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი	**60.0**
	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	**175.0**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	**267.3**
	ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა	**125.4**
	ააიპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	**230.0**
	ააიპ ხონის კულტურის ცენტრი	**178.0**
	ააიპ ხონის სამხატვრო სკოლა	**62.0**
	ააიპ ხონის ისტორიული მუზეუმი	**72.2**
	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი ხონი	**33.0**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახური	**137.0**
	ააიპ მადლიერების სახლი	**130,0**
	ა(ა)იპ სათნოების სახლი	**138,5**

ინფრასტრუქტურის სფერო

2022 წელს სულ ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 105 პროექტი ღირებულებით 9 285 847 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად, 2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდა 19 პროექტი. ღირებულებით - 4 799 740. 66 ლარი. მოწესრიგდა 21.7 კმ საგზაო ინფრასტრუქტურა. სახელდობრ:

1. ქ. ხონში ახალგაზრდობის ქუჩის, ჩიხის, ახალგაზრდობის ქუჩის I და II შესახვევის რეაბილიტაცია
2. სოფელ გვაზაური-ღანირის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება

3. ქ. ხონში ჭანტურიას ქუჩის II და VI შესახვევის რეაბილიტაცია
4. სოფელ მათხოჯში მე-7-ე ქუჩის მოასფალტება
5. სოფელ მათხოჯში მე-8-ე ქუჩის მოასფალტება
6. სოფელ კუხში მე-3-ე ქუჩის მოასფალტების დასრულება
7. სოფ. საწულუკიძეოს სასაფლაოდან ახალსოფლის მიმართულებით მიმავალი გზის მოასფალტება
8. ჩაის მეურნეობის მეორე უბნის გზის მოასფალტება
9. სოფელ ნახახულევში #3 ქუჩის მოასფალტება
10. სოფელ გორდში ფანცულაიების უბნის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა
11. ხონის მუნიციპალიტეტში, გორდის ადმინისტრაციული ერთეულის ვიზიტორთა სახლიდან გამშვებ პუნქტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
12. სოფელ გუბში მე-6 ქუჩის მოასფალტება
13. სოფელ მათხოჯში მე-12-ე ქუჩის მოასფალტება
14. სოფელ კუხში მე-6-ე ქუჩის მოასფალტება
15. სოფელ გუბში მე-16 ქუჩის მოასფალტება
16. ქ. ხონში რუსთაველის ქუჩის I და II შესახვევის რეაბილიტაცია
17. ქ. ხონში, ირ. აბაშიძის ქუჩის მოასფალტების გაგრძელება
18. ქ. ხონში, ტაბიძის ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება
19. სოფელ ქუტირი-პატარა ჯიხაიშის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებასაერთო ღირებულებით 3 952 850.8 ლარი. სულ მოასფალტებული იქნა 21 278 გრძ/მ გზა.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სოფელ მათხოჯში საჯარო სკოლის ეზოში ღია სპორტული მოედანის მოწყობა, ქ. ხონში, მე-4-ე საჯარო სკოლაში ოთახებში კედლების, ჭერების, კარ-ფანჯრების, იატაკებია და ელ მომარაგების რეაბილიტაცია, კომპიუტერების მონტაჟი საჭირო მოწყობილობებით და ხონის მუნიციპალიტეტში სკოლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სულ სკოლებში რეაბილიტაციის საკასო შესრულებამ შეადგინა 84 518 ლარი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლი 15 თებერვლის #277 განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი 470 000 ლარიდან სოფლებში მოეწყო გარე განათების სისტემები, კეთილმოეწყო შიდა სასოფლო გზები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ხუთი პროექტი ღირებულებით 142 503 ლარი სახელდობრ:

1. ხონის მუნიციპალიტეტში, გუბის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები.
2. ქ. ხონის, N1 საბავშვო ბაღის და დ. კაკაბაძის სახელობის ხონის სამხატვრო სკოლის შემოღობვის სარეაბილიტაციო სამუშაოები
3. ქ. ხონში, ბაგრატიონის ქ. N11 და N13 მრავალსართულიანი საერთო საცხოვრებელი ბინების ეზოში, საბავშვო ატრაქციონისა და მინი სტადიონის მოწყობა.
4. ქ.ხონში ახალგაზრდობის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები
5. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ოთახების რეაბილიტაცია.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს გაგრძელდა ხონის მუნიციპალიტეტში 2 პროექტზე სამუშაოები. კერძოდ:

1. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად სოფელ ხიდის დიდღვაბუნას ტბამდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
2. მუნიციპალიტეტში ტურისტების მიმზიდველობის უზრუნველყოფისთვის ხონის ბულვარის რეაბილიტაცია

საკასო შესრულებამ შეადგინა - 2 458 705 ლარი.

2022 წელს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #1449 განკარგულების შესაბამისად შესრულებული იქნა 316 683 ლარის სამუშაოები, ხოლო სოფელ დედალაურში, გველესიანების უბანში, საფეხმავლო ხიდის, ყოფილ სასროლეთთან ბონდის ხიდისა და ე.წ. მეორე ზონაში ლითონის საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები ცუდი კლიმატური პირობების გამო გაგრძელდა 2023 წელს.

ასევე, დასრულდა 2021 წელს დაწყებული გარდამავალი პროექტი - სოფ დედალაურში გზის მოასფალტების გაგრძელება ღირებულებით - 638 516.56 ლარი.

ეკონომიკის სფერო

2022 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	ხონი,ჭავჭავაძის ქ. I ჩიხი N2 (ს/კ 37.07.33.280)	N1	13585.0
2.	ხონი, ჭავჭავაძის ქ, (ს/კ 37.07.33.168)	N1	1401.85
3.	ხონი, მოსე ხონელის ქ. N3 (ს/კ 37.07.38.102.01.519)	N1-27.9	---
4.	ხონი, მოსე ხონელის ქ. N3 (ს/კ 37.07.38.102.01.514)	N1-30.7	
5.	ხონი, სოფ. მათხოჯი (ს/კ 37.04.34.015.01.500)	N01-168	
6.	ხონი, სოფ. ხიდი (ს/კ 37.04.36.037)	---	523.0

2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია შემდეგი გარე განათების სისტემები
(ხაზოვანი ნაგებობა)

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	რაოდენობა (ცალი)	გრძივი მეტრი
1.	თავისუფლების მოედანი (ს/კ 37.00.365)	28	787.56
2.	ახალგაზრდობის ქუჩა (ს/კ 37.00.364)	15	513.42
3.	თამარ მეფის ქუჩა (ს/კ 37.00.363)	28	873.96
4.	ბაგრატიონის ქუჩა (ს/კ 37.00.361)	64	2215.24

საქართველოს მთავრობის N1472 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალურ საკუთრებაში ძირითადი ქონების სახით დავარეგისტრირეთ, სოფ. მათხოჯში მდებარე ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა: ს/კ 37.04.34.015.01.501 -505.71 კვ.მ და ს/კ 37.04.34.015.01.502-62.18 კვ.მ

2022 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	სოფელი გოჩა ჯიხაიში (ს/კ 37.11.31.278)	---	30.0
2.	სოფელი გოჩა ჯიხაიში (ს/კ 37.11.31.277)	---	15614.0
3.	სოფელი ნოღა (ს/კ 37.02.32.467)	-----	75468.0

როგორც მოგეხსენებათ ,,2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ,,პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა-სოფლის ექიმი“ რომლის განმახორციელებლად განისაზღვრა ა(ა)იპ- საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტში მდებარე ამბულატორიები გადავეცით სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის სიმბოლურ ფასად 1 ლარად მიყიდვის მიზნით.

2022 წელს სახელმწიფოს გადავეცით ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ამბულატორიები

N	მისამართი	საკადასტრო კოდი	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	შენობა-ნაგებობა
1.	სოფ. გორდი	37.02.31.045	809.0 კვ.მ	N01-156.2 კვ.მ
2.	სოფ. გუბი	37.12.31.034	561.0 კვ.მ	N01-142.4 კვ.მ
3.	სოფ. ივანდიდი	37.08.35.063	615.0 კვ.მ	N01-151.7 კვ.მ
4.	სოფ. საწულუკიძეო	37.05.37.099	256.0 კვ.მ	N1-45.4 კვ.მ
5.	სოფ.ახალბედისეული	37.05.40.110	581.0 კვ.მ	N1
6.	სოფ. ქუტირი	37.10.38.042	671.0 კვ.მ	N01-99.5 კვ.მ
7.	სოფ. მათხოჯი	37.04.33.024	478.0 კვ.მ	N01-137.3 კვ.მ
8.	სოფ. დედალაური	37.06.34.006	759.0 კვ.მ	N01-158.6 კვ.მ
9.	სოფ. ნახახულევი	37.05.32.715.01.500	29.50 კვ.მ	ადმ. შენობის I სართული
10.	სოფ. კუხი	37.09.36.238.01.503	62.72 კვ.მ	ადმ. შენობის II სართული
11.	სოფ. გოჩა ჯიხაიში	37.11.32.205.01.502	20.55 კვ.მ	ადმ. შენობის I სართული
12.	სოფ. ძეძილეთი	37.03.32.038.01.500	29.20 კვ.მ	ადმ. შენობის I სართული
13.	სოფ. კონტუათი	37.05.34.230.01.500	23.86 კვ.მ	კლუბის შენობის I სართული
14	სოფ. კინჩხა	37.01.32.186	252.0 კვ.მ	

2022 წელს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	ორგანიზაციის დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ	საბალანსო ღირებულება	სარგებლობის ვადა (წელი)
1.	ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური“ ს/ნ 244973999	მოსე ხონელის ქ. N3 ს/კ 37.07.38.102.01.521	14.45კვ.მ	8700.0 ლარი	5
2.	ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტო“ ს/ნ 404923785	თავისუფლების მოედანი N6 ს/კ 37.06.38.617.01.501	22.40 კვ.მ	12040.0 ლარი	2
3.	სსიპ ,,იურიდიული დახმარების სამსახური“ ს/ნ 204534058	პ. კაკაბაძის ქ. N17 ს/კ 37.07.38.618.01.517	21.40 კვ.მ	10700.0 ლარი	2
4.	ა(ა)იპ ,, საფეხბურთო კლუბი იმერეთი“ ს/კ 244973739	პ. კაკაბაძის ქ. ს/კ 37.07.38.166	14551.0 კვ.მ N1,N2,N3	447000.0 ლარი	5

2022 წელს ა(ა)იპ ,,ხონის კომუნალურ სერვის ცენტრს“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, გადავეცით, ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება:
სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება - ამწე კალათა (მოდელი ISUZU, გამოშვების წელი 2014, სახელმწიფო ნომერი QQ033SQ)

2022 წელს ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	საიჯარო ობიექტი	ღირებულება წლიური
1.	ხონი, ჭანტურიას ქ, ს/კ 37.00.055	გარე განათების ხაზოვანი ნაგებობა	135.0 ლარი
2.	ხონი, სოფელი მათხოჯი ს/კ 37.04.34.241	სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი -97748.0 კვ.მ	10080.0 ლარი

ხონის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 12 მიზანი და 28 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის

პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების ორ განზომილებას – ეკონომიკურსა და სოციალურს. იგი წარმოაჩენს გაეროს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტებს ხონის მუნიციპალიტეტის დონეზე. დოკუმენტი დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურ მუშაობას ვახორციელებდით ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით, მერიამ ორგანიზება გაუწია სხვადასხვა არასასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებს საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ასევე ხელმძღვანელობდა გარემოს დაცვით ღონისძიებებს- მათ შორის დასუფთავების აქციებს.

როგორც ცნობილია 2022 წელს შეიქმნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის ახალი 2023-2027 წლების სამოქმედო გეგმა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სამუშაოები. გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით პერიოდულად მიმდინარეობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარების კუთხით.

მერია ასევე მუშაობს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, 2022 წლის განმავლობაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 7 ფიზიკურ პირს.

როგორც ცნობილია დაიწყო სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის პირს შეუძლია 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე. დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ვაკანსიაზე დასაქმებულია 260 ადამიანი, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი, მოთხოვნის შესაბამისად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

ზედამხედველობის სფერო

2022 წლის ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებით ჩატარადა აქტიური მუშაობა, სხვადასხვა სახის მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 76837 (სამოცდათექვსმეტიათას რვაასოცდაჩვიდმეტი) ლარი. აქედან დასუფთავების მოსაკრებელი შედაგენს 37937 (ოცდაჩვიდმეტიათას ცხრაასოცდაჩვიდმეტი) ლარს. საიჯარო ობიექტების ქირა 18625 (თვრამეტიათას ექვსასოცდახუთი) ლარია და მიწათსარგებლობის იჯარა 20275 (ოციათას ორასსამოცდათხუთმეტი) ლარი.

გასულ წელს შემოვიდა განაცხადი 15-ი (თხუთმეტი) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე მიღებულია თხუთმეტივე შენობა-ნაგებობა. სამსახური ახორციელებს კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გარე იერსახის დაცვაზე, შენობა-ნაგებობების ფასადების, ვიტრინების და ჯიხურების ესთეტიკურ მდგომარეობის შესაბამისობაზე.

საანგარიშო პერიოდში სანებართვო პირობებისა და უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმდა ორი ფიზიკური პირი სულ ჯარიმის თანხამ შეადგინა 1200. 00 (ათას ორასი) ლარი თანხა გადახდილია ბიუჯეტში.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სფერო

2022 წლის საანგარიშო პერიოდში სავალდებულო სამსახურში ჩასარიცხად, ხონის სამხედრო სამსახურს გეგმით განისაზღვრა 28 წვევამდელით, მათ შორის შსს –11 წვევამდელი, თავდაცვა – 16 წვევამდელი და ს.ა.დ. – 1 წვევამდელი.

საანგარიშო პერიოდში გამწვევ კომისიაზე სულ გამოძახებული იქნა 286 წვევამდელი საიდანაც გამოცხადდა 267 წვ. ქ.თბილისში ცენტრალურ–გამწვევ პუნქტზე გადაყვანილი იქნა 28 წვევამდელი. საიდანაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა 7 წვევამდელი, ალტერნატიულ სამსახურში 3 წვევამდელი, გამოკვლევაზე გაიგზავნა 3 წვევამდელი, შეზღუდულად ვარგისია 13 წვევამდელი, დროებით უვარგისია 2 წვევამდელი.

14 წვევამდელზე შევქმენით პირადი საქმეები და ჩაირიცხნენ საკონტაქტო სამსახურში, 6 წვევამდელი დაცვის პოლიციაში. გადავადება მიეცა 30-ე მუხლით (სწავლის გამო და ოჯახური პირობებით) 235 წვევამდელს, 4 წვევამდელი. განთავისუფლდა სავალდებულო სამსახურიდან 29-ე მუხლით. პოლიციას გადაუგზავნეთ მასალები 93 წვევამდელზე საიდანაც 50 გამოცხადდა. მოძიებული და აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 12 მოქალაქე, რეზერვში გადაირიცხა -120 წვევამდელი

სოციალური სფერო

2022 წლისთვის სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 683 000 ლარი.

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა შეადგენდა - 134 000 ლარს.
- საანგარიშო პერიოდში ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ორი უფასო სასადილო: ა(ა)იპ სათნოების სახლი და ა(ა)იპ მადლიერების სახლი, სადაც ბენეფიციარები ყოველდღიურად ღებულობდნენ სადილს. ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერები სახლი'' -ს სასადილო ემსახურებოდა 120 ბენეფიციარს. 2022 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაიხარჯა - 129 997 ლარი. ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ს სასადილო ემსახურებოდა 140 ბენეფიციარს . 2022 წელს დაიხარჯა - 138 512 ლარი.
  - საანგარიშო პერიოდში ხორციელდება ხონის ტერიტორიაზე მცხოვრები 65001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების, ომის ვეტერანების და ლტოლვილების კომუნალური

გადასახადების შეღავათები: საკანალიზაციო და წყალმომარაგების. სასმელ წყალზე სულზე 1 ლარი და კანალიზაციის შემთხვევაში 1,3 ლარი. აღნიშნულზე დაიხარჯა 32285 ლარი.

- სოციალურად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციართა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელთაც სოციალური სააგენტოს მოკვლევის შედეგად მიენიჭა 65001-დან 90001-მდე სარეიტინგო ქულა. დახმარება გაეწია სულ 464 ოჯახს ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით, სულ დაიხარჯა 46400- ლარი. 2022 წელს ერთჯერადი ფულად დახმარებაზე სულ შემოსული იყო 476 განცხადება, აქედან უარი ეთქვა 12- ბენეფიციარს განმეორებითი განცხადების შემოტანის გამო.

- 2022 წელს ერთჯერადი სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება და თანადაფინანსების დახმარება გაეწია 1032-ბენეფიციარს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 184786-ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, აღნიშნული დახმარება გაეწია 39- ბავშვს, რაზეც დაიხარჯა 7800-ლარი.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გონებრივი ჩამორჩენილობის, ცერემბრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ ბენეფიციართა დახმარება 18 წლის ზემოთ, ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გაეწია 87 - ბენეფიციარს, სულ დაიხარჯა 17400-ლარი.

აღნიშნულ საკითხზე მოგახსენებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „უ"ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტრის ,54- ე მუხლის პირველი პუნქტრის ,,ე.ე და ,,ე.ვ ქვეპუნქტების 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 62-ე მუხლის საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ,,54-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის" შესახებ საქართველოს კანონის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის N24-ე დადგენილების საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. საბჭოში ჩართულია 4 შშმ სტატუსის მქონე პირი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპენტეციის ფარგლებში განიხილავს ხონის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

- მრავალშვილიანი (18 წლამდე 4 და მეტი ბავშვი) ოჯახის დახმარება, ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ერთ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით. აღნიშნული

დახმარება 2022 წელს გაეწია 43ოჯახს (205- ბავშვი) გაიცა 10250- ლარი.

- მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება - თითეულ ბავშვზე 200 ლარის ოდენობით 2022 წელს დახმარება გაეწია 13 - მშობელს (20- ბავშვი) რაზეც დაიხარჯა 4000- ლარი.

- დიალიზისა და თირკმლის ,,ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ტრანსპორტირების ყოველთვიური თანხა- 200 ლარის ოდენობით. დახმარების პროგრამაში 2022-წელს ჩართული იყო 13--ბენეფიციარი, რაზეც დაიხარჯა 19600-- ლარი.

- ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციართა ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, 2020 -წლის აგვისტოს თვიდან დაფინანსება გაიზარდა 150 ლარამდე. 2022 წელს დახმარება გაეწია 2-ბენეფიციარს რაზეც დაიხარჯა 600- ლარი.

- ონკოლოგიური მიმართულებით ყველა სახის სამედიცინო მომსახურეობის ხარჯების დაფინანსება განსაზღვრული იყო წელიწადში 1200 ლარით. 2022წელს პროგრამაში ჩართული იყო 182 ბენეფიციარი რაზეც დაიხარჯა 108790 ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,რომელსაც აქვს სტატუსი ფორმაN.50/2. 2022 წელს ერთჯერადად გაიცა 1 ბენეფიციარის მიმართ 700 ლარის ოდენობით.

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით 2022 წელს დახმარება გაეწია 4 ბენეფიციარს - რაზეც დაიხარჯა 600- ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით. 2022 წელს დახმარება გაეწია 286 ვეტერანს, რაზეც დაიხარჯა 28600- ლარის ოდენობით.

- უნგრეთის, ავღანეთის ომის მონაწილე ვეტერანების და ჩერნობილის ატომური ელექტრო-სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოებზე მონაწილე დაზარალებულ ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით 2022

წელს გაეწია 18- ბენეფიციარს რაზეც დაიხარჯა 1800 ლარი,

- დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯი გარდაცვლილის ოჯახებზე 250 ლარის ოდენობით ,დახმარება გაეწ ია ათ ოჯახს-რაზეც დაიხარჯა 2500 ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ ვეტერანთა ოჯახებზე ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. 2022 წელს დახმარება გაეწიო დაღუპული ვეტერანის 11 ოჯახს. პროგრამაზე დაიხარჯა 5500 ლარი.

- 2022 წლის აგვისტოს თვეში დებულებაში შევიდა ცვლილება პირველი ჯგუფის უსინათლო (მკვეთრი შეზღუდვა) პირებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 47-ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა18300-ლარი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვების სასმენი აპარატის (აპარატის სადენის, კვების წყარო, საშრობი ტაბლეტის) თანადაფინანსების პროგრამა. გამოყოფილი იყო 500 - ლარი. დახმარება გაეწია 3 ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა 1500 -ლარი.

- 2022 -წელს სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამაზე გამოყოფილი იყო ერთ ბენეფიციარზე 1500 ლარი. 2022 -წელს დახმარება გაეწია 2-ბენეფიციარს და დაიხარჯა 3000-ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე და 18-წლის ზემოთ დღის ცენტრები , რომელსაც მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვიურად აფინანსებს 1000 -ლარის ოდენობით. 2022-წელს აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 17950- ლარი

- 2022 წელს სოციალურ პროგრამაში შევიდა ცვლილება 0-დან 18-წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება 250-ლარის ოდენობით,რაშიც დაიხარჯა 10500-ლარი. ასევე 0-დან 18-წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური დაფინანსება 250-ლარით, დაიხარჯა 5250-ლარი. 2022 წელს მზრუნველობამოკლებული 18-წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 300-ლარის ოდენობით.დახმარება გაეწია 9-ბენეფიციარს და დაიხარჯა 2700 ლარი. 15-წლამდე

შშმ.სტატუსის მქონე ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვის სეზონური საკურორტო - სარეაბილიტაციო მომსახურეობა ერთჯერადად 300-ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 2-ბენეფიციარს და დაიხარჯა 600 ლარი.

კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული სფერო

1. კულტურა

მერიის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საქმიანობა კულტურის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. რაც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერას, განვითარებასა და პოპულარიზაციას, შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას. მინდა აღვნიშნო, რომ პანდემიით გამოწვეული შეწყვეტილი კულტურული ცხოვრება გასულ წელს ნელ-ნელა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა და არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებაც განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული ცხოვრების აღმავლობასა და განვითარებას. პირველ რიგში, მინდა შევეხო ხონის თეატრალურ ცხოვრებას, რომელსაც, ჩვენდა საამაყოდ, 158 წლიანი ისტორია გააჩნია და ხონის სახალხო თეატრი დღემდე ღირსეულად აგრძელებს ამ ტრადიციას. თეატრის განვითარების პროგრამის ფარგლებში გასულ წელს განხორციელდა ტრადიციული რეგიონული ფესტივალი ,,თეატრალური იმერეთი - 2022“, სადაც წარმოდგენილ იქნა კახა მიგინეიშვილის პიესის მიხედვით რეჟისორ პეტრე ჩარგეიშვილის მიერ ინტერპრირებული სპექტაკლი ,,აფხაზური ჩანახატი“, ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით სპექტაკლი რამდენიმე მნიშვნელოვანი ნომინაციის მფლობელი გახდა: 1)საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი - მოქალაქეობრივი პოზიციის საუკეთესოდ წარმოჩენისათვის; 2)მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი“. ნაყოფიერად ფუნქციონირებს კულტურის ცენტრში ბავშვთა ნიღბების თეატრი, რომელმაც არაერთი საინტერესო სპექტაკლი და თეატრალური პერფორმანსი განახორციელა. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კულტურის ცენტრში ფუნქციონირება განაახლა თოჯინების თეატრმა, რომელმაც თეატრალური სეზონის განახლებისთანავე ხონელ საზოგადოებას წარუდგინა ჩეხი მწერლის, სლაბის საბავშვო ზღაპრის ,,წითელქუდა, ყვითელქუდა, ცისფერქუდა და მგელი“ მიხედვით ინსცენირებული სპექტაკლის პრემიერა დავით ბახტაძის რეჟისორობით. კულტურის ცენტრის თეატრალური დასი, როგორც ყოველთვის, გასულ წელსაც აქტიურად იყო ჩართული საახალწლო ღონისძიებაში ღია ცის ქვეშ, სადაც ძველი და ახალი თაობის თეატრალებმა კიდევ უფრო სახალისო განწყობა შეუქმნეს ხონის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას. მნიშვნელოვანია, რომ ბულვარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, მოკრძალებით აღინიშნა ,,ხონელობის“ სახალხო დღესასწაული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეს სიმბოლურად გამოეხმაურა სახალხო სასულე ორკესტრი, რომელმაც სადღესასწაულო საორკესტრო მელოდიებით თანაქალაქელებს საზეიმო განწყობა შეუქმნა. აღსანიშნავია ხონის სახალხო სასულე ორკესტრის ვიზიტი ქვეყნის მასშტაბით გამართულ არაერთ ღონისძიებაზე, მათ შორის

,,თბილისქალაქობის“ დღესასწაულზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს იმერეთის რეგიონის ღირსეულად წარმოჩენაში და ასევე, მცხეთაში გამართულ თანამედროვე ეპოქის კონგრესზე ,,სიყვარულის უნარი“.

ქართული სიმღერისა და ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით, ხონის შემოქმედებითი კოლექტივები ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,არტ გენი“, სადაც მონაწილეობა მიიღო კულტურის ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,იმერი“, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, რომლის შესარჩევი ტური გაიმართა ხონის კულტურის ცენტრში, მონაწილეობდნენ იმერეთის რეგიონის ფოკლორული ანსამბლები, მგალობელთა გუნდები, ფოიეში მოეწყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ჟიურის გადაწყვეტილებით, მეორე ტურში, რომელიც გაიმართა ქუთაისის ოპერის თეატრში, გადავიდა ხონის ფოკლორული ანსამბლი ,,იმერი“ და სახვითი ხელოვნების რამდენიმე ნამუშევარი. ხონის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა წარმატებული მონაწილეობა ანაკლიაში გამართულ ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალზე ,,მომავლის ხმები“, სადაც 30 სალოტბარო სკოლას შორის ხონის სალოტბარო სკოლა ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად დასახელდა. ასევე, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, ხონმა უმასპინძლა ფოლკლორის VII საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდნენ პოლონეთის, თურქეთის, ლატვიის და სომხეთის შემოქმედებითი კოლექტივები. პერიოდულად იმართება ადგილობრივ ხელოვანთა საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოები, ასევე პოეზიის საღამოები, მათ შორის პოეტ მაყვალა გონაშვილის პოეზიის საღამო, მწერალ დათო ტურაშვილის შეხვედრა ახალგაზრდებთან და წიგნების პრეზენტაცია, რომელიც პროექტის ,,გახდი შემოქმედი“ ფარგლებში გაიმართა.

მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამუსიკო სკოლაში. საანგარიშო პერიოდში არსებული სასწავლო პროგრამების შესაბამისად ჩატარდა დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, ღია აკადემიური კონცერტები, წარმატებულ პედაგოგთა კლასის კონცერტები. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, სიმებიანი (გიტარა) და საორკესტრო (საყვირი,საქსოფონი) განყოფილებები, სადაც მოსწავლეები ამა თუ იმ ინსტრუმენტზე დაკვრის ხელოვნებას ეუფლებიან. სულ, სკოლაში განათლებას იღებს 272 მოსწავლე და არსებული კონტიგენტის ფარგლებში, სკოლაში მუშაობს 23 სასწავლო ჯგუფი. სამუსიკო სკოლამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გასული წლის საანგარიშო პერიოდში, მათ შორის უნდა აღინიშნოს სენაკის არტ-ფესტივალი ,,ხელოვნების აკადემია“, სადაც სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების ორი მოსწავლე, ბავშვთა ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,მძლევარი“ და ვოკალური ჯგუფი ფესტივალის ლაურეატები გახდნენ. ასევე, აღსანიშნავია იმერეთის თეორიული კონფერენციაში ,,თაობათა ცვლა“ მიღწეული წარმატება, სადაც სამუსიკო სკოლის მოსწავლემ პირველი ადგილი და შესაბამისი დიპლომი დაიმსახურა.

სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამხატვრო სკოლაში, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილობრივ, რეგიონულ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ გამოფენებში. კერძოდ, ქუთაისის მხატვართა რეგიონული ორგანიზაციის მიერ გამართული გამოფენა (გალერეა ,,ვარლა“). სამხატვრო სკოლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში და სხვადასხვა სპეციალურ სასწავლებლებში. სკოლას აქვს საგამოფენო

სივრცე, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო და შემოქმედებითი პროცესის განმტკიცებასა და განვითარებას. სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, კერამიკა, თექა (ხალხური რეწვა). სკოლაში სახვითი ხელოვნების მიმართულებით განათლებას იღებს 105 მოსწავლე, სასწავლო პროცესს უძღვება 7 პედაგოგი.

ნაყოფიერად და წარმატებით მუშაობდა საანგარიშო პერიოდში ისტორიული მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის პოლიკარპე კაკაბაძის, ირაკლი აბაშიძის სახლ - მუზეუმები და საბრძოლო დიდების მუზეუმი. ყველა განყოფილებაში ჩატარდა ინვენტარიზაცია, მოხდა საინვენტარო წიგნების შეჯერება, გაიზარდა ექსპონატების რაოდენობა, ახალშემოსულ ექსპონატებს ჩაუტარდა სამეცნიერო აღწერა, წლის განმავლობაში მუზეუმში შემოვიდა 350 ექსპონატი, უმრავლესობა ეთნოგრაფიული ნივთია, ასევე ფერწერული ნიმუშები, ნუმიზმატიკური მასალები. ყოველივე ამან გამოიწვია ფონდების გამდიდრება და დღეისათვის ექსპონატების საერთო რაოდენობა 23 459 - ს აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად, ეტაპობრივად წესრიგდება მუზეუმის ინფრასტრუქტურა, ჩატარდა სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები, ყოველივე ეს ხელს უწყობს ვიზიტორთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას, რომელმაც წლის ბოლოსათვის 1735 - ს მიაღწია. მუზეუმს ხშირად სტუმრობენ საჯარო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები. წლის მანძილზე მუზეუმში არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, მოეწყო 2 დროებითი გამოფენა, კერძოდ: ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენები, ასევე, ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, მუზეუმის მეორე სართულის ვრცელ საგამოფენო დარბაზში მოეწყო მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთისა და ოსეთის ომების მონაწილეთა ექსპოზიცია, სადაც გამოფენილია გმირების პირადი ნივთები, დოკუმენტური მასალები, აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე, აქცია ,,ღამე მუზეუმში“, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხონის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. გასული წელი საინტერესო იყო სამეცნიერო კუთხითაც, დაიწერა მონოგრაფიები, გამოიცა 200 გვერდიანი საინტერესო ნაშრომი სათაურით ,,არიული ცივილიზაცია“ რომელიც ამერიკაში მცხოვრები, წარმოშობით ხონელი ქალბატონის, ნანა ჩხენკელისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით გამოიცა.

საანგარიშო პერიოდში საინტერესო და ნაყოფიერი იყო საბიბლიოთეკო ქსელის მუშაობა, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის 16 ბიბლიოთეკა. წლის მანძილზე ბიბლიოთეკები მოემსახურა 1048 მკითხველს, რომელზეც გაცემულია 5683 წიგნი და ჟურნალი. სააბონენტო განყოფილება შეივსო ახალი ავეჯითა და ახალი წიგნებით. ახალი ინვენტარით შეივსო საბავშვო განყოფილება და მოეწყო ახალი საბავშვო კუთხე. დედალაურის, ნახახულევის, ახალბედისეულისა და გოჩა ჯიხაიშის სასოფლო ბიბლიოთეკებს გადაეცა ახალი ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ძმები არველაძეების ქველმოქმედებით საქართველოს 60 ბიბლიოთეკას, მათ შორის, ხონის ბიბლიოთეკებს ვაუჩერიზაციით გადმოეცა 924 ლარის ღირებულების ახალი ლიტერატურა. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობისა და წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში სისტემატიურად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიება: წიგნის პრეზენტაცია და რეკლამა, პოეზიის საღამოები, ლიტერატურული კომპოზიციები, კინოჩვენებები, კითხვის დღე, ზღაპრის დღე, ღია კარის დღე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის. გარკვეულ პოპულარიზაციას უწევს ბიბლიოთეკები ეროვნულ, დემოგრაფიულ, ქრისტიანულ - მართლმადიდებლური რელიგიისა და ზნეობრივი ფორმირების კუთხით არსებულ ლიტერატურას.

განხორციელებული მუშაობის მთავარი მიზანია წიგნით საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფა, ყველა თაობის განათლება და ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მუნიციპალური ღონისძიება განხორციელდა მერიის ორგანიზებით, მათ შორის: საახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი, პრემიერის ინიციატივით საახალწლო-საშობაო ღონისძიება ღია ცის ქვეშ ხონის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან მოწვეულმა ცნობილმა ბენდებმა, ღონისძიება დატვირთული იყო არაერთი საახალწლო შოუ პროგრამით და აქტივობით, მოეწყო საახალწლო სოფელი, სადაც გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქტისა და ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, აღინიშნა დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ქართული ჟურნალისტიკის დღე, 21 მარტს-დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აღნიშნულ თემატიკაზე შესრულებული ნამუშევრების გამოფენა სამხატვრო სკოლის საგამოფენო სივრცეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიებები, ასევე,ზაფხულის პერიოდში, ჩატარდა რამდენიმე საინტერესო კულტურული ღონისძიება, მათ შორის: მუსიკისა და პოეზიის საღამოები ღია ცის ქვეშ, ჯგუფ ,,ფორტე“-ს კონცერტი, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ,,ლეგენდების ქვეყანა“, გაიმართა კინოფილმების და ანიმაციური ფილმების ჩვენება, რომელმაც ახალგაზრდების დიდი ინტერესი გამოიწვია, გასართობი შოუ - პროგრამა ,,შეხვედრა პირველკლასელებთან“, სადაც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის პირველკლასელებს ბატონ გოჩა ბაკურაძისგან საჩუქრად გადაეცათ საგანმანათლებლო-სოციალური პროექტ ,,ეტალონის“ ავტორისა და წამყვანის ბატონ გოჩა ტყეშელაშვილის მიერ შედგენილი წიგნი ,,პირველკლასელთა აკადემია“, კულტურის ცენტრის ფოიეში ხონის მუნიციპალიტეტის მერის უშუალო ინიციატივით მოეწყო ჰოლანდიელი ფერმწერის რემბრანდტის გრავიურების - სამუზეუმო ასლების გამოფენა, ასევე, ძალიან ორიგინალური ინოვაციური გამოფენა - სხეულის ენით შექმნილი ქართული ანბანის ფოტოგამოფენა.

2. განათლება

მერიის მუშაობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობისათვის ხელშეწყობა. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურაში ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება 20 საბავშვო ბაღი. საანგარიშო პერიოდში სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი, ომიკრონის ვირუსის გავრცელების გამო, დაგვიანებით 1 მარტს დაიწყო. საბავშვო ბაღებში განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მასშტაბური პროექტი -,,პეპი, ბურატინო, მხიარული ჯამბაზები და ბავშვები“, რომელშიც ჩაერთო ქალაქის სამივე საბავშვო ბაღის მზაობის ჯგუფების და სოფლების: გუბისა და მათხოჯის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და აღმზრდელები. ასევე, განხორციელდა ,,აღმზრდელ - პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ მოდულის“ მეორე ეტაპი. გადამზადდა საბავშვო ბაგა - ბაღების 22 აღმზრდელი, ხოლო სერთიფიცირებული გახდა 21. სასწავლო წლის ბოლოს საბავშვო ბაგა-ბაღებში მოხდა ჰასპის სისტემის დანერგვა და მოთხოვნის შესაბამისად გადამზადებული იქნა ოცივე საბავშვო ბაღის გამგე, მზარეული და ექთანი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ,,საბავშვო ბაღის აღმზრდელების მიერ პირამიდის მოდელის სტრატეგიების გამოყენება ბავშვებში სოციალურ ემოციების კომპეტენციების ხელშეწყობისათვის“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და მთელი საქართველოს

მასშტაბით 4 აღმზრდელს შორის შეირჩა მათხოჯის საბავშვო ბაღის აღმზრდელი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება გაიაროს გადამზადება და პრაქტიკაზე დაფუძნებული ქოუჩინგი, კვლევითი პროგრამის ავტორთან (ლიკა ქურციკიძე) უშუალო კომუნიკაციით დანერგოს პირამიდის მოდელი და ხელი შეუწყოს ბავშვების სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას. ასევე, სკოლამდელ დაწესებულებებში განხორციელდა სასკოლო მზაობის ჯგუფების ახალი სტანდარტების ინსტრუქციების მიხედვით საშემოდგომო პროექტები. საახალწლო პროექტებიდან კი განსაკუთრებით ორიგინალური იყო ქუტირის საბავშვო ბაღის მიერ ჩატარებული პროექტი, რომელიც განსხვავებული ფორმატით, საღამოს საათებში ბაღის ეზოში ჩატარდა.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლე - ახალგაზრდობის ჩაბმის მიმართულებით საინტერესო მუშაობას ახორციელებდა ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, რომელიც თავისი სტრუქტურით ემსახურება ბავშვებისა და სასკოლო ასაკის მოზარდების არასასწავლო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისგარეშე განათლების მიღების საქმეს, რასაც ერთიანობაში ახალგაზრდა თაობის არაფორმალური განათლება ჰქვია. 2022 წლის მანძილზე საწრეო, საკლუბო, ჯგუფურ მუშაობასთან ერთად წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტი: ,,თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური მოდელირება“, ,,იყავი მეწარმე“, ,,ძალადობის პრევენცია“, ,,მათემატიკა ჩვენს ირგვლივ“, ,,ქართული საგანძური“, ,,მასწავლებელი შუქი სულისა“ ,,ჩვენ ლამაზი მეგობარი გვყავდა“. ჩატარდა ლიტერატურული საღამოები, ვიქტორინა-კონკურსი - ,,იაზროვნე სწრაფად“. ფოტოგამოფენა -,,შემოდგომის ფერები“. ასევე, ჩატარდა კონფერენცია - ,,პლანეტები მზის სისტემაში“ და ,,ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. აგრეთვე, ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციებსა და ოლიმპიადებში.

მოსწავლეთა კომპიუტერისა და ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას ემსახურება ა(ა)იპ ხონის ინფორმატიკის ცენტრი. ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა დასაქმების აუცილებელი მოთხოვნაა. ცენტრში სწავლება მიმდინარეობს უფასოდ. ინფორმატიკის სასწავლო კურსი ითვალისწინებს 3 - თვიან კურსს, ინგლისურის კურსი კი 1-2 წელს. ჯგუფები დაკომპლექტებულია ასაკობრივი და ასევე ცოდნის მიხედვით, რომელიც ვლინდება ტესტირების საფუძველზე. ჩარიცხვისას პრივილეგია ენიჭებათ სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს. სულ ცენტრში ირიცხება 56 მოსწავლე. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საგამოცდო კომისიის მეთვალყურეობით ტარდება გამოცდა და მოსწავლეებს გადაეცემათ წამახალისებელი (სიმბოლური) სერთიფიკატები.

სასკოლო ასაკის მოზარდის არასასწავლო პერიოდში თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და განათლების მიღების საქმეს მრავალი მიმართულებით ემსახურება სკოლისგარეშე მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულება - ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრი. საანგარიშო პერიოდში ცენტრში გაიმართა ,,ქართული მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული დაოსტატების წრისა“ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ღონისძიება ,,ლექსო ნუ დაიკარგები“. 2022 წლის 1 ივნისს, ცენტრის ორგანიზებით, საბანკეტო დარბაზ ,,პანორამას“ ღია სივრცეში ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კონცერტი. ასევე, წლის მანძილზე განხორციელდა სამუსიკო სტუდიის, სახვითი ხელოვნების წრის, მხატვრული ტანვარჯიშისა და პლასტიკის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, გიტარის წრის, სახვითი ხელოვნების წრის, სამართალმცოდნეობის წრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი თამაშების კლუბის მოსწავლეების შემაჯამებელი შეხვედრა - მოსმენა. ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სამუსიკო სტუდიის მოსწავლეების მიერ შესრულებული მიუზიკლი.

მისასალმებელია, რომ ხონის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ტარდება სოციალურ საგანმანათლებლო მედია პროექტი ,,ეტალონი“. პანდემიისგან შექმნილი სიტუაციის გამო, კონკურსი ონლაინ რეჟიმში ჩატარდა და 2022 წლის ,,ხონის ეტალონი მოსწავლე“ გახდა სოფ. კუხის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლანა ნიჟარაძე.

3. სპორტი

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებითა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა მოყვარულთა ლიგის გათამაშება დიდ ფეხბურთში. ასევე, ა(ა)იპ 7X7 ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებითა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა მუნიციპალური პირველობა საფეხბურთო ტურნირ „MASTER LEAGUE-ში“. მუნიციპალიტეტში გამარჯვებულმა გუნდმა -„ლიდერმა“ მონაწილეობა მიიღო რიგიონულ პირველობაზე, რომელმაც დაიკავა მეორე ადგილი. ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ,,master league-ის“ ინიციატივით გამართულ იმერეთის - რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 16 წლამდე გოგონათა შორის 7X7-ზე საფეხბურთო ფესტივალზე ხონის მუნიციპალიტეტის გოგონათა საფეხბურთო გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

საანგარიშო პერიოდში სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ომის ვეტერანებს შორის ტურნირი ნარდსა და შაშში. 17 ოქტომბერს ვეტერანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა სპორტული შეჯიბრი ნარდსა და შაშში, ხოლო 23 ივნისს ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით მოეწყო ,,საფეხბურთო ფესტივალი ხონი 2022“ (გოგონებს შორის). აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გოგონათა საფეხბურთო გუნდები. გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა - 390 აღსაზრდელით, 23 მწვთნელითა და 11 სახეობის სპორტული ჯგუფით, ეს ჯგუფებია: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, რაგბი, კარატე, კარატე დო, კრივი, ტაეკვანდო, ძალოსნობა, ჭადრაკი და თავისუფალი ჭიდაობა. აღნიშნულ ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები პერიოდულად მონაწილეობას ღებულობენ, როგორც საქართველოს მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და ფესტივალებში, ასევე საერთაშორისო ეგიდთ გამართულ ჩემპიონატებში.

სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლემ მარიამ მურღვლიანმა პოლონეთში გამართულ 17 წლამდე ევროპის ძალოსანთა შეჯიბრზე ერთი ვერცხლის და ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ასევე, სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლე იაკობ ჩხეიძე - მწვრთნელები მიხეილ ბალავაძე და გოჩა ახალაძე გახდა 15 წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონი. სასპორტო სკოლის სხვადასხვა ჯგუფების მოსწავლეები გამარჯვებული არიან საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებსა და ფესტივალებში. სკოლის ინიციატივით ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის - სასკოლო ოლიმპიადა ასაკობრივ ჯგუფებბში (სპორტის 6 სახეობაში), ასევე, გარდაცვლილი სპორტსმენების ხსოვნის ტურნირები შემდეგ სახეობებში: კონსტანტინე (ბაგა) ჩაკვეტაძე - ფეხბურთში, ტარიელ (ტალიკო) ჯაფარიძე _ კალათბურთი, ლერი და მამუკა ჩხენკელები - მძლეოსნობა, თამაზ გეგუჩაძე - კალათბურთი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,იმერეთი“|.აღნიშნული კლუბი მონაწილეობას ღებულობდა რეგიონულ ლიგაში (ფეხბურთში). კლუბი დაფინანსდა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 50 000 ლარით.

4. ახალგაზრდული საქმე

ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროექტების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა იუმორისტული ფესტივალი ქართული ლიგის ფინალური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ გუნდმა „ხონტრაბანდამ“. ფესტივალის საუკეთესო მონაწილე გახდა ,,ხონტრაბანდას“ გუნდის წევრი - მიხეილ ფურელიანი. ასევე, 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სოფელ გორდში გაიმართა კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში ეროვნულ გამოცდებზე ხონის მუნიციპალიტეტიდან ოთხმა ახალგაზრდამ (მარიამ ცეცხლაძე -სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა; თამარ კუხალაშვილი- სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა; ქეთევან ღოღობერიძე-სსიპ ქალაქ ხონის N4 საჯარო სკოლა; ლიზი ბობოხიძე-სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა) მოიპოვა სრული დაფინანსება (100% გრანტი).

5. ტურიზმი

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგი - ,,სოფლის ტურიზმი და ტურისტული მომსახურების თავისებურებები სოფლად“, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონებში კონკურენტუნარიანი მომსახურების განვითარებასა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე, უნდა აღინიშნოს ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციისა“ და ,,იმერული ღვინის ასოციაციის“ თანამშრომლობის ფარგლებში მოეწყო ტრენინგ - კურსი ადგილობრივი მეღვინეების გადამზადებისათვის.